საქართველოს მთავრობის განკარგულება

№669 2016 წლის 18 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო ქონების აუქციონის გარეშე, დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის თაობაზე სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), აუქციონის გარეშე, იჯარის ფორმით გადასცეს თავის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება:

ა) ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარედ არსებული სააგენტოს ადმინისტრაციული კომპლექსის „A" ბლოკის 1,5 კვ.მ ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.03.01.780) - სს „ნოვა ტექნოლოჯს" (ს/კ: 248 429 598) 2 (ორი) წლის ვადით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განსათავსებლად, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 51 (ორმოცდათერთმეტი) ლარად;

ბ) ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარედ არსებული სააგენტოს ადმინისტრაციული კომპლექსის „A" ბლოკის 1 კვ.მ ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.03.01.780) -

სს „ბანკ ქართუს“ (ს/კ: 204 891 652) 2 (ორი) წლის ვადით, ბანკომატის განსათავსებლად, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 300 (სამასი) ლარად;

გ) ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარედ არსებული სააგენტოს ადმინისტრაციული კომპლექსის „A“ ბლოკის 1 კვ.მ ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.03.01.780) - სს „საქართველოს ბანკს“ (ს/კ: 204 378 869) 2 (ორი) წლის ვადით, ბანკომატის განსათავსებლად, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარად;

დ) ქ. რუსთავში, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის მიმდებარედ არსებული სააგენტოს ადმინისტრაციული კომპლექსის „A“ ბლოკის 1 კვ.მ ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №02.03.01.780) - შპს „თიბისი ფეის“ (ს/კ: 204 559 361) 2 (ორი) წლის ვადით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატის განსათავსებლად, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 50 (ორმოცდაათი) ლარად;

ე) ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21-ში მდებარე სააგენტოს ქ. თბილისის სამმართველოს შენობის 0.5 კვ.მ ((მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.03.038.046) - სს „ნოვა ტექნოლოჯს“ (ს/კ: 248 429 598) 2 (ორი) წლის ვადით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განსათავსებლად, ყოველთვიური საიჯარო ქირით - 17 (ჩვიდმეტი) ლარად.

2. სააგენტომ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობებით საიჯარო ხელშეკრულებების მოქმედება გაავრცელოს სახელმწიფო ქონების ფაქტობრივ სარგებლობაში გადაცემის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი